



მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #47 ოქტომბერი, 2015

გამოშვებაში  
წაიკითხავთ

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ვებგვერდებისა და IP მისამართების შემოწმების უფასო ონლაინ რესურსი აამოქმედა

1 მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ვებგვერდებისა და IP მისამართების შემოწმების უფასო ონლაინ რესურსი აამოქმედა

2 გასვლითი სამუშაო შეხვედრა რეგიონული კიბერუსაფრთხოების საკითხებზე

3 ერთიანი სავაჭრო ქსელი ტესტირების ბოლო ფაზას გადის

4 GITI 2015



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფმა CERT.GOV.GE-მ უფასო ონლაინ რესურსი „ჩექნეტი“ (ChekNet) აამოქმედა ([www.checknet.ge](http://www.checknet.ge)), რომლის მიზანია ქვეყანაში უსაფრთხო ინტერნეტ-გარემოს დამკვიდრების ხელშეწყობა.

პორტალი „ჩექნეტი“ საქართველოში მყოფ ნებისმიერ მომხმარებელს საშუალებას აძლევს: შეამოწმოს ქართული

ვებგვერდების ისტორია და გაიგოს, თუ რა სახის უსაფრთხოების პრობლემები ფიქსირდებოდა მათზე სხვადასხვა დროს; ვებგვერდების ჩანაწერების ისტორიის ნახვით მიიღოს ინფორმაცია კონკრეტულ ვებგვერდზე არსებული პრობლემის შესახებ. მაგალითად, გაიგოს გატეხილია თუ არა ესა თუ ის ვებგვერდი, არის თუ არა მათში ე.წ. მავნე კოდი, რაც სახიფათოს ხდის მათ როგორც კომპიუტერის დავირუსების, ისე სხვადასხვა ოპერაციის, მაგალითად, ონლაინ შესყიდვების განხორციელების თვალსაზრისით; შეამოწმოს საკუთარი IP მისამართები და მიიღოს ინფორმაცია მათი ინფიცირებისა ან სხვადასხვა შავ სიაში მოხვედრის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ამ ინფორმაციის მისაღებად საკმარისია მომხმარებელმა სპეციალურად გამოყოფილ ველში შეიყვანოს მისთვის სასურველი ვებგვერდის მისამართი და სისტემა რამდენიმე წამში გამოიტანს შესაბამის შეტყობინებებს.

გარდა ინფორმაციის მოძიებისა, მომხმარებელს საშუალება აქვს პორტალის მონაცემთა ბაზას თავად დაამატოს მის მიერ აღმოჩენილი ინციდენტი, რაზეც CERT.GOV.GE მყისიერ რეაგირებას მოახდენს. პორტალზე ასევე ხელმისაწვდომია სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაცია, როგორცაა, მაგალითად, ყველაზე ხშირად დავირუსებული IP მისამართების ჩამონათვალი, დაინფიცირების ტიპების პროცენტული მაჩვენებლები და სხვა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
[www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge)

იუსტიციის სახლი  
[www.house.gov.ge](http://www.house.gov.ge)

my.gov.ge  
[www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

[www.sda.gov.ge](http://www.sda.gov.ge)

საპარტნიორო ცენტრული სააგენტო  
[www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge)

საქართველოს მემორიალი  
[www.archives.gov.ge](http://www.archives.gov.ge)

[www.nbe.gov.ge](http://www.nbe.gov.ge)

[www.notary.ge](http://www.notary.ge)

საქართველოს საპანონოდაბლო მაცნე  
[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

www.eAuction.ge  
ქვეყნის მთლიანი აუქციონი  
[www.eAuction.ge](http://www.eAuction.ge)

[www.tbilisi.gov.ge](http://www.tbilisi.gov.ge)

## მონაცემთა გაცვლის სააგენტომ NATO-სთან თანამშრომლობით რეგიონული კიბერუსაფრთხოების საკითხებზე გასვლითი სამუშაო შეხვედრა გამართა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ NATO-ს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ (SPS) ფარგლებში, ყვარელში მდებარე იუსტიციის სასწავლო ცენტრის ფილიალში მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელიც კიბერუსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გაუმჯობესებული საშუალებების იდენტიფიცირებასა და სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებში რეგიონული კიბერთავდაცვის უზრუნველყოფის საკითხებს მიეძღვნა.

შეხვედრაზე განიხილეს რეგიონში საერთო გამოყენების კრიტიკული ინფრასტრუქტურების კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული

საკითხები, ასევე კიბერთავდაცვის სფეროში ინსტიტუციონალური შესაძლებლობების

განვითარების საშუალებები და ამ მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. ყოველივე ეს ხელს უწყობს როგორც საქართველოს, ისე რეგიონის ქვეყნების კიბერუსაფრთხოების დონის ზრდას და ქმნის შესაძლებლობას, რომ თითოეული მოქალაქე უკეთ იყოს დაცული სხვადასხვა კიბერუსაფრთხოებისგან.

მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, შეხვედრაზე ასევე გადაწყდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის

სააგენტოსთვის ახალი პროექტის ინიცირებისა და მხარდაჭერის საკითხი, რომელიც ამ უკანასკნელს შესაძლებლობას მისცემს NATO-ს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ (SPS) ფარგლებში განახორციელოს სწავლებისა და კვლევების სპეციალური პროგრამები.


საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად 15-მდე წარმომადგენელს - NATO-ს წევრი ქვეყნების კიბერუსაფრთხოების სფეროს ექსპერტებს, რეგიონის ქვეყნების დარგის სპეციალისტებსა და საქართველოში კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით მომუშავე უწყებების წარმომადგენლებს უმასპინძლა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შეხვედრა წარმოადგენს მიმდინარე წლის ივნისში, ასევე მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და NATO-ს ორგანიზებით თბილისში გამართული მასშტაბური სამუშაო შეხვედრის გაგრძელებას.

„აღნიშნული შეხვედრები NATO-ს წევრ ქვეყნებთან ჩვენი ეფექტიანი მუშაობის შედეგია. მაგალითად, წლების განმავლობაში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლები NATO-ს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ ფარგლებში წარმატებით ატარებდნენ ტრენინგებს სხვადასხვა ქვეყნის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტებისთვის, გვქონდა აქტიური თანამშრომლობა კიბერინციდენტების ერთობლივად განეიტრალების

მიმართულებითაც. ყოველივე ამის შედეგად, დღეს ჩვენ თანამშრომლობის თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავედით. მსგავსი სახის შეხვედრების ჩვენს ქვეყანაში ორგანიზება ნიშნავს, რომ საქართველო ხდება რეგიონული ცენტრი კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების თვალსაზრისით“, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

## ერთიანი სავაჭრო ქსელი ტესტირების ბოლო ფაზას გადის



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ხორციელდება ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტი. ერთიანი სავაჭრო ქსელი (TFS) არის ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროში ჩართულ რგოლებს შორის ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში ელექტრონულად გაცვლის სისტემა, რომელიც ამცირებს ხარჯებს და დროს, რაც ვაჭრობისა და გადაზიდვისათვის სავალდებულო დოკუმენტაციის მოსამზადებლად არის საჭირო. შესაბამისად მცირდება პროცედურების რაოდენობა და ჩქარდება ლოგისტიკისა და ტვირთის განზაჩევის პროცესი.

სისტემაში ჩართული კომპანიების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცემათ

მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, საერთო ვებპორტალის მეშვეობით ონლაინ რეჟიმში აწარმოონ ყველა ის ოპერაცია, რაც დაკავშირებულია საქართველოში და/ან საქართველოს გავლით ტვირთების გადაზიდვასთან. სისტემის მომხმარებლები დაზოგავენ როგორც ფინანსურ რესურსებს, ისე დროს. გარდა ამისა, ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი ინვესტიციების შემოდინებას და კიდევ უფრო აამაღლებს საქართველოს, როგორც ბიზნესის წარმოებისთვის მიმზიდველი ქვეყნის რეპუტაციას.

ერთიანი სავაჭრო ქსელი ყოველწლიურად ჩაანაცვლებს 1 მილიონ ქალაქის დოკუმენტს. ვაჭრობისა და ლოგისტიკის სფეროში მოქმედი ბიზნესებისთვის კი მოსალოდნელი წლიური დანაზოგი 4.5 მილიონი დოლარი იქნება.

პროექტის პირველი ეტაპი მოიცავს პროცესში ჩართულ მხარეებს შორის საზღვაო გადაზიდვების საშუალებით კონტეინერების იმპორტ/ექსპორტის პროცესების თანმიმდევრულ ინფორმაციის ავტომატურად მიმოცვლას. ამჟამად სისტემის სხვადასხვა კომპონენტების ტესტირების პროცესის ბოლო ეტაპი მიმდინარეობს, რომლის მიზანია სისტემის საპილოტე რეჟიმში გასაშვებად მომზადება.

ტესტირების პროცესში მხარეები კიდევ ერთხელ გაეცნობიან იმპორტის პროცესის მსვლელობის სრულ ციკლს და გამოაშკარავენ ფუნქციონალის ხარვეზებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ტესტირების შემდეგ, აღმოჩენილი ხარვეზები გამოსწორდება და სისტემა გაეშვება საპილოტე რეჟიმში.

სისტემაში ჩართული მხარეები არიან: შემოსავლების სამსახური, რკინიგზა, ფოთისა და ბათუმის პორტები, საზღვაო ხაზები, ტერმინალები, ექსპედიტორები.

ერთიანი სავაჭრო ქსელი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის კიდევ ერთ წარმატებულ მაგალითს. პროექტი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.



## GITI 2015



## Georgian IT Innovation Event GITI 2015



### Partnerships for Competitiveness, Innovation and Cyber Security

8th Regional

Georgian Cyber Security and IT Innovation Conference/  
Georgian IT Innovation Awards 2015

#### Organizers:

ICT Business Council of Georgia  
LEPL Data Exchange Agency of Ministry of Justice of Georgia

November 19-20, 2015  
Hôtels & Préférence Hualing Tbilisi  
Tbilisi, Georgia

The conference is the region's one of the most influential events in the field ICT and IT innovations. Through the years, the conference has been a vital opportunity for high-profile experts from a diverse background in ICTs and cyber security to establish professional relationships and served as a platform for the formation of international cooperation.

Participation in the conference is **free of charge**.

If you want to participate and/or be the speaker at the GITI conference, please send us the filled in GITI **Application A**.

Online form of Application A can be found at:

<http://www.jotformpro.com/form/52772509656970>

If you want to nominate one or more of your projects for the awards, please send us the filled in GITI **Application B**.

Online form of Application B can be found at:

<http://www.jotformpro.com/form/52772122743958>

Fore more information, please contact:

**Giga Shubitidze:** mobile: +995 577 750115

**Irakli Gvenetadze:** mobile: +995 577 620404

**Nino Bigvava:** mobile: +995 595 345345

E-mail: [GITI@ictbc.ge](mailto:GITI@ictbc.ge)

იხილეთ ჩვენი საიტები  
[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ